ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი - კომისიის თავმჯდომარე

გია ტაბლიაშვილი - კომისიის წევრი

ნინო მიქიაშვილი - კომისიის წევრი:

ქეთევან უტიაშვილი - კომისიის წევრი:

თეა ჭეიშვილი - კომისიის წევრი

ნელი ვარდიაშვილი - კომისიის წევრი

გიორგი ტურაზაშვილი - კომისიის წევრი

ნათია კორკოტაძე - კომისიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი - კომისიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე - კომისიის წევრი

გოჩა სვანიძე - კომისიის წევრი

ხათუნა გრიგალაშვილი - კომისიის წევრი

ია გაბედავა - კომისიის წევრი

საჩივრის ავტორი: თ. ჭ.

წარმომადგენლები: თ. ს., თ. ლ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.08.2014

საჩივრის რეგისტრაციის N 061/14

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ჭ. მიმართ, სიითი N

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ჭ.-ათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2014 წლის 12 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. ჭ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. ჭ.-ათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2014 წლის 19 ივლისს მისი შვილის, შ. ჭ. მიმართ დაიწყო გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდუბე - ჩუღურეთის პირველი სამმართველოს მიერ ქურდობის მუხლით. 2014 წლის 19 ივლისს შ. ჭ. დააკავეს და გადაიყვანეს დიდუბე – ჩუღურეთის პირველ სამმართველოში, სადაც ბრალდებული დაკითხა გამომძიებელმა 2014 წლის 20 ივლისს, 04:00 საათიდან 08:00 საათამდე. დაკითხვაში ადვოკატის სახით მონაწილეობა მიიღო ადვოკატმა ლ. ჭ.-მ, რომელიც, არც ბრალდებულს და არც მისი ოჯახის წევრებს დაუქირავებიათ.

1.3 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მას შვილის დაკავების თაობაზე 2014 წლის 20 ივლისს, ღამის 02:00 საათზე შეატყობინეს, თუმცა არ უთქვამთ, რომ ბრალდებული უნდა დაეკითხათ და ადვოკატის დასწრება იყო საჭირო. ბრალდებულმა არ იცოდა წერა-კითხვა. საჩივრის ავტორი 20 ივლისს დღის მეორე ნახევარში დაუკავშირდა ადვოკატ მ. ღ.-ს და სთხოვა მისი შვილის დაცვა, შესაბამისად, ადვოკატი ჩაერთო საქმეში, 2014 წლის 21 ივლისს. სწორედ ამ დროს შეიტყო ბრალდებულის ოჯახმა, რომ ადვოკატი ლ. ჭ. მონაწილეობდა შ. ჭ. ბრალდებულის სახით დაკითხვის ეტაპზე.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა ლ. ჭ .ბრალდებულს უთხრა, რომ მისმა ოჯახმა დაიქირავა იგი ადვოკატად და ამგვარად მოიპოვა მისი ნდობა. ბრალდებული ენდო ადვოკატს და სამალავიც კი უჩვენა პოლიციელებს. როგორც საჩივრის ავტორი აცხადებს, მისი შვილისგან შეიტყო, რომ ადვოკატს მასთან დაცვის პოზიციაზე არ უსაუბრია, ხოლო, ჩვენება გამომძიებელმა დაბეჭდა თავისივე სიტყვებით და ბრალდებულს მხოლოდ ხელი მოაწერინა. ადვოკატის დასწრებას ბრალდებულის დაკითხვის მიმდინარეობისას ერთადერთი მიზანი ჰქონდა: პოლიციის პოზიციების დაცვა, რადგანაც, ადვოკატმა ლ. ჭ.-მ, იმის ნაცვლად, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფისათვის აეხსნა, რომ პოლიციას მის მიმართ არცერთი მტკიცებულება არ ჰქონდა და ბრალდებულს შეეძლო არ მიეცა ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, ყველაფერი წინასწარ აღიარებინა შ. ჭ., ურჩია, ნივთიერი მტკიცებულებები გადაეცა პოლიციისათვის და ისინი დაეხმარებოდნენ მას საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში, რაც პროკურატურამ მის წინააღმდეგ გამოიყენა – მას ჯერ ორი ბრალდება წარუდგინეს, მოგვიანებით კი თვრამეტი დაუმატეს. აქედან მტკიცებულებები მხოლოდ ორ ეპიზოდთან დაკავშირებით არსებობს, ისიც თავად ბრალდებულის მიერ მითითებული სამალავიდან ამოღებული; დანარჩენ თვრამეტ ეპიზოდზე კი

ბრალი მხოლოდ ადვოკატ ლ. ჭ. თანდასწრებით მიცემული აღიარებითი ჩვენების გამო აქვს წარდგენილი, ხოლო, სხვა მტკიცებულებები საქმეში არ არსებობს.

1.5 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატი ლ. ჭ. ბრალდებულის ოჯახის წევრებს არასდროს უნახავთ, არც საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაუფორმებიათ მასთან და არც ჰონორარი გადაუხდიათ. ადვოკატი მ. ღ. დაუკავშირდა ადვოკატ ლ. ჭ. და ჰკითხა თუ ვინ დაიქირავა იგი შ. ჭ. დასაცავად, რაზეც ადვოკატმა ლ. ჭ.-მ ჯერ უპასუხა, რომ ბრალდებულის ოჯახმა დაიქირავა, ხოლო როცა ადვოკატმა მ. ღ.-მ განუმარტა, რომ ოჯახმა მისი არსებობის შესახებ არც იცოდა, უპასუხა, რომ პოლიციიდან დაურეკეს, გამოწერა ორდერი და მივიდა დაკითხვაზე, თუმცა, კონკრეტულად ვინ დაურეკა, არ ახსოვდა. ადვოკატმა თ. ჭ.-ის ოჯახთან შეხვედრაზე უარი განაცხადა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მომხდარის შესახებ ბრალდებულმა შ. ჭ.-ემ დაწერა საჩივარი მთავარი პროკურორის სახელზე 2014 წლის 21 ივლისს, რომელიც 2014 წლის 22 ივლისს საჩივრის ავტორმა შეიტანა მთავარ პროკურატურაში. საჩივრის ავტორმა პირადადაც დაწერა საჩივარი მთავარი პროკურორის სახელზე და 2014 წლის 22 ივლისს 12:05 საათზე შეიტანა მთავარ პროკურატურაში. ადვოკატი ლ. ჭ. დაკითხვის შემდეგ აღარ გამოჩენილა, მას არც 2014 წლის 22 ივლისის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების სხდომაში მიუღია მონაწილეობა, სადაც ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდა.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა მ. ღ.-მ სასამართლოს წინაშე განაცხადა ადვოკატ ლ. ჭ. საქციელის თაობაზე და პროკურორს შეკითხვების ეტაპზე დაუსვა შეკითხვა, თუ ვისი დავალებით მივიდა ადვოკატი ლ. ჭ. შ. ჭ.-ს დასაცავად, რაზეც პროკურორმა განაცხადა, რომ ვინაიდან ბრალდებულმა არ იცოდა წერა – კითხვა, პროკურატურას უნდა მიემართა სახაზინო იურიდიული სამსახურისათვის, რომელიც ხშირად უარს ამბობს ადვოკატის გამოყოფაზე იმ მოტივით, რომ პირმა იცის ქართული ენა, უბრალოდ, არ იცის წერა – კითხვა. პროკურორის პასუხის ციტირება: ,,იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ბრალდებულის უფლებები, პირადად ჩემი გადაწყვეტილების საფუძველზე მოყვანილი იქნა ადვოკატი. ადვოკატის შერჩევისას არ მიმიღია მონაწილეობა. არ ვიცი, მოიყვანა პოლიციამ, და ამასთან ერთად, აუცილებლად ვუთხარი გამომძიებელს, ჰკითხე ბრალდებულს, სურს თუ არა თვითონ, თავის მიხედვით აიყვანოს ადვოკატი, თუ აქვს საშუალება, მიუყვანს. არ მოიყვანა ბრალდებულმა ადვოკატი და მერე დაკითხვაში დავაფიქსირეთ, თანახმა იყო თუ არა ამ კონკრეტულ ადვოკატს მიეღო მონაწილეობა დაკითხვაში. შეეძლო ადვოკატზე უარი ეთქვა.“ (სხდომის ოქმის აუდიო ვერსია, დრო – 13:49:37; 13:50:30; 13:50:58).

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა მ. ღ.-მ ჰკითხა პროკურორს, მიმართა თუ არა მან იურიდიული დახმარების სამსახურს საზოგადოებრივი ადვოკატის გამოყოფის თხოვნით. პროკურორმა უპასუხა, რომ ღამე არ არსებობს მიმოწერა და კორესპონდენცია, რადგან კანცელარია არ მუშაობს. თურმე პროკურორი ტელეფონით ესაუბრა ბიუროს და მიიღო უარი. (სხდომის ოქმის აუდიო ვერსია, დრო – 13:52:10; 13:52:38; 13:52:50; 13:53:00). შემდეგ ადვოკატმა ღ.-მ ჰკითხა პროკურორს, აცნობეს თუ არა ოჯახის წევრებს შ. ჭ.-ათვის ადვოკატის აყვანის თაობაზე და შედგა თუ არა ოქმი, პროკურორმა კი უპასუხა, რომ ოჯახის წევრებს შეატყობინეს ბრალდებულის დაკავების შესახებ, ადვოკატის აყვანის თაობაზე კითხვას კი თავი აარიდა და განაცხადა, რომ ადვოკატს ელოდებოდნენ 04:00 საათამდე,

წინააღმდეგ შემთხვევაში 02:00 საათამდეც დაკითხავდნენ ბრალდებულს. პროკურორს არ უთქვამს, რომელ ადვოკატს ელოდებოდნენ. მოსამართლემ კი ხელი შეუწყო პროკურორს, კითხვაზე პასუხი გაცემულად ჩათვალა და შეკითხვა მოხსნა (სხდომის ოქმის აუდიო ვერსია, დრო – 13:53:17; 13:53:43; 13:54:01; 13:54:04; 13:54:25; 13:54:44). ადვოკატის მიყვანის ფაქტზე სხდომაზე ბრალდებულმა განაცხადა, რომ მას პოლიციაში მიუყვანეს ადვოკატი, რომელმაც განუმარტა, თითქოს იგი მისმა ოჯახმა აიყვანა (სხდომის ოქმის აუდიო ვერსია, დრო – 14:03:37, 14:03:50, 14:03:59, 14:04:10, 14:04:16).

1.9 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით მიუთითა, რომ ადვოკატ ლ. ჭ. მიერ ბრალდებულის დასაცავად ორდერი უკანონოდ იყო გამოწერილი, რადგან, საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმება არც ბრალდებულთან და არც მისი ოჯახის წევრებთან ჰქონდა. ადვოკატს ბრალდებულთან არ უსაუბრია დაცვის სტრატეგიაზე, არ განუმარტავს უფლებები, არ გასცნობია საქმის მასალებს და არ გამოჩენილა აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე, რითაც დაცვის გარეშე დატოვა იგი, რადგან არ იცოდა, ჩაერთვებოდა თუ არა საქმეში სხვა ადვოკატი.

1.10 ეთიკის კომისიის 2016 წლის 29 მარტს საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა - თ. ს.-ემ განაცხადა, რომ ბრალდებული შ. ჭ. ეთანხმება საჩივრის ავტორის, მამის პოზიციას, რაც თავად მოისმინა მისგან, როდესაც მის ადვოკატთან - მ. ღ.-სთან ერთად იყო შესული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

1.11 საჩივრის ავტორის წარმომადგენელი, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ ბრალდებულმა საქმის სასამართლოში არსებითად განხილვისას უარყო მის მიერ დაკითხვის დროს აღიარებული ფაქტები, ხოლო, მისმა ადვოკატმა დაასაბუთა, რომ რომ ბრალდებულის დაკავების დროს, ჩვენების მიცემის სტადიაზე დაირღვა დაცვის უფლება (რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაშიც აღნიშნა) და აღიარებითი ჩვენების მოპოვება მოხდა უკანონოდ, რის გამოც ამ ჩვენების საფუძველზე მოპოვებული ყველა მტკიცებულება არ უნდა გაეზიარებინა სასამართლოს, თუმცა, ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და სასამართლომ ისინი მაინც გაიზიარა.

1.12 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, სიმართლეს არ შეესაბამება ადვოკატ ლ. ჭ. განმარტება, რომ მას ბრალდებულმა დედის ნომერი მისცა და ის ესაუბრა შ. ჭ. დედას, რომელმაც ადვოკატს აცნობა, რომ შეთანხმებით აყვანილი ადვოკატი მ. ღ. გზაში იყო. შ. ჭ. მშობლები განქორწინებულნი არიან და შ. ჭ. არ ელაპარაკება დედას და არ იცის მისი ტელეფონის ნომერი. ამასთან ადვოკატს არ წარმოუდგენია დაკავებულის დედასთან კომუნიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

1.13 საჩივრის ავტორის მოთხოვნაა ადვოკატ ლ. ჭ. ჩამოერთვას საადვოკატო საქმიანობის უფლება.

2. მოწმის პოზიცია:

2.1 2014 წლის 31 ოქტომბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, მოწმემ, ადვოკატმა მ. ღ.-მ განაცხადა, რომ ბრალდებულ შ. ჭ. დაკავებისას ჩვენება არ მიუცია, რადგან წერა - კითხვა არ იცის. მოწმე აცხადებს, რომ საქმეში არ იყო არცერთი მტკიცებულება, გარდა საათისა, რომელიც ბრალდებულს ხელზე ეკეთა დაკავებისას. მოწმის განმარტებით, პოლიციელებმა ჰკითხეს ბრალდებულს, სურდა თუ არა ადვოკატი, რის შემდეგაც ბრალდებულმა ითხოვა, შეეტყობინებინათ მისი ოჯახისათვის. მოწმე აცხადებს, რომ დაკავება მოხდა 23:00 საათზე, ხოლო ოჯახს ამის შესახებ შეატყობინეს

მეორე დღეს 23:00 საათზე. მოწმე აღნიშნავს, რომ მხოლოდ ამის შემდეგ დაუკავშირდა საჩივრის ავტორი მას და გააგზავნა ბრალდებულის უფლებების დასაცავად, სადაც, მანამდე მანამდე, ღამის 04:00 საათზე მივიდა ადვოკატი ლ. ჭ. და ბრალდებულს გაეცნო, როგორც მისი ოჯახის მიერ დაქირავებული ადვოკატი. როგორც მოწმე მ. ღ. განმარტავს, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას სხდომაზე მან ჰკითხა პროკურორს, თუ ვისი დავალებით ჩაერთო საქმეში ადვოკატი ლ. ჭ., ხოლო, პროკურორმა უპასუხა, რომ მისი დავალებით პოლიციელებმა მოიყვანეს ადვოკატი, თუმცა მას ადვოკატის შერჩევაში მონაწილეობა არ მიუღია. მოწმემ განმარტა, რომ როცა იგი პოლიციის განყოფილებაში მივიდა, პოლიციის უფროსის მოადგილის სატელეფონო საუბრიდან შეიტყო, რომ საქმეში სხვა ადვოკატი მონაწილეობდა. პოლიციის უფროსის მოადგილე სატელეფონო საუბარში აღნიშნავდა, რომ შ. ჭ. საქმეში სხვა ადვოკატი ჩაერთო და იგი აღარ აღიარებდა დანაშაულს. როგორც თავად მიუთითბს, ადვოკატი მ. ღ. დაუკავშირდა ბრალდებულის ოჯახს და ჰკითხა, თუ ვინ დაიქირავა ადვოკატი ლ. ჭ., მათ კი განუმარტეს, რომ ასეთ ადვოკატს არ იცნობდნენ და სთხოვეს გაერკვია, ვინ იყო იგი, რის შემდეგაც, ის დაუკავშირდა ადვოკატ ლ. ჭ., რომელსაც პირადად იცნობდა და ჰკითხა, ვისი დავალებით ჩაერთო შ. ჭ. საქმეში. მოწმის განმარტებით, ადვოკატმა ლ. ჭ. უპასუხა, რომ ზუსტად არ იცოდა, ვინ დაურეკა, თუმცა პოლიციის განყოფილებიდან დაურეკეს და სთხოვეს მოცემულ საქმეში მონაწილეობის მიღება.

2.2 ადვოკატ მ. ღ. განმარტებით, საკუთარ კლიენტთან შეხვედრის შემდეგ შეიტყო, რომ საქმეზე მტკიცებულებები არ იყო ამოღებული. ამიტომ, ამ პირობებში აღიარებითი ჩვენების მიცემა არ მიიჩნია მიზანშეწონილად. როგორც მოწმე უთითებს, პოლიციელები შ. ჭ. სთხოვდნენ, დახმარებოდა 18 000 (თვრამეტი ათასი) ევროს ღირებულების საათის მოძებნაში, რომელიც დაკარგული იყო გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის სახლიდან, რადგანაც, საათი, რომელიც ბრალდებულს ეკეთა დაკავებისას, არ იყო ის საათი, რომელსაც ეძებდნენ. ადვოკატი მ. ღ. აღნიშნავს, რომ ადვოკატ ლ. ჭ. საქმის მასალები არ წაუღია, იგი მხოლოდ დაკითხვას ესწრებოდა. ბრალდების წარდგენას, როგორც მოწმე ადვოკატი უთითებს, იგი თავად დაესწრო და ბრალდებულს ურჩია, ამ ეტაპზე აღიარებითი ჩვენება არ მიეცა. თუმცა, მოწმის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ნივთიერი მტკიცებულება საქმეში არ იყო, დაკითხვის ეტაპზე მიცემული ჩვენების საფუძველზე პროკურორმა საათის ეპიზოდზეც წაუყენა ბრალი შ. ჭ..

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 2014 წლის 27 აგვისტოს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას წერილობით მომართა ადვოკატმა ლ. ჭ. შ. ჭ. საჩივართან დაკავშირებით და განმარტა, რომ 2014 წლის 20 ივლისს, დაახლოებით 04:00–05:00 საათზე ქალაქის ტელეფონზე დაურეკეს და სთხოვეს, პოლიციის განყოფილებაში მისულიყო. ადვოკატი აღნიშნავს, რომ სატელეფონო ზარს უპასუხა მისმა მეუღლემ, ამიტომ ადვოკატისათვის არ იყო ცნობილი, ვინ იბარებდა ან რა სტატუსით იბარებდნენ, ამიტომ, იგი წავიდა, რათა გაერკვია, ვინ და რატომ იყო დაკავებული და დაახლოებით დილის 07:00 საათზე მივიდა პოლიციის განყოფილებაში, ჰკითხა პოლიციის უფროსს, თუ რატომ დაიბარეს, როცა იგი არ არის საზოგადოებრივი ადვოკატი, რაზეც უპასუხეს, რომ ბრალდებულ შ. ჭ. სჭირდებოდა ვინმე გარეშე პირი, რადგან არ იცოდა წერა – კითხვა, თუმცა, ადვოკატმა მათ განუმარტა, რომ მესამე პირად ვერ ჩაერთვებოდა საქმეში, რადგანაც ადვოკატი

იყო. ადვოკატი აცხადებს, რომ პოლიციის უფროსს ადვოკატ ჭ.-სათვის არ მოუთხოვია, ყოფილიყო დაკავებულის ადვოკატი. ადვოკატის განცხადებით, მას შეეცოდა შ. ჭ. და ჰკითხა, მოვიდოდა თუ არა მისი ადვოკატი, რაზეც ბრალდებულმა უპასუხა, რომ მის ოჯახს უკვე შეატყობინეს და ადვოკატის დაქირავებას უზრუნველყოფდნენ. ადვოკატ ლ. ჭ. განცხადებით, რადგან ადგილზე იყო მისული, შეეძლო გარეშე პირის ფუნქციაც შეესრულებინა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ბრალდებულს გამოართვა მისი ოჯახის წევრის ტელეფონის ნომერი, რომელზეც დარეკა და მისთვის უცნობმა ქალბატონმა დაუდასტურა ადვოკატის გამოგზავნის შესახებ, თუმცა, ადვოკატი არ გამოჩნდა. ადვოკატმა ლ. ჭ.-მ, როგორც თავად განმარტავს, შესთავაზა ბრალდებულს, ყოფილიყო მისი ადვოკატი, რაზეც შ. ჭ.დათანხმდა და განაცხადა, რომ მაინც არ ხდიდა სადავოდ გარემოებებს და არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ იქნებოდა მისი ადვოკატი. ადვოკატის განცხადებით, ამ დროისთვის ბრალდებულს უკვე ყველაფერი აღიარებული ჰქონდა და მიუთითებდა იმ ადგილების მისამართებს, სადაც, სავარაუდოდ, ჩადენილი ჰქონდა დანაშაული. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მან განუმარტა ბრალდებულს მისი უფლება, არ ეღიარებინა დანაშაული, თუმცა ბრალდებულმა უთხრა, რომ იგი მანამდეც იყო ნასამართლევი და სურდა აღიარება.

3.2 ადვოკატის განმარტებით, მას იმ დღეს ხელშეკრულების ფორმა თან არ ჰქონდა, ჰქონდა მხოლოდ ორდერის ფორმა, რადგან იმ დღეს სხვა საადვოკატო საქმეებზე მიდიოდა, თუმცა, მან მიიჩნია, რომ მასსა და დაკავებულს შორის ჩამოყალიბებული ნდობის გამო, შემდგომში ამის საფუძველზე ურთიერთობის გაგრძელების პრობლემა არ ექნებოდათ. ადვოკატმა ორდერი გამოწერა დაკავებულთან შეხვედრიდან ერთი–ორი საათის შემდეგ.

3.3 ადვოკატი ლ. ჭ. უარყოფს დაკითხვისას ბრალდებულზე ზეწოლის განხორციელების ფაქტს და აცხადებს, რომ მსგავსი ფაქტების დაფიქსირების შემთხვევაში, ამას აუცილებლად გააპროტესტებდა. ადვოკატის განმარტებით, შ. ჭ., სავარაუდოდ, შეყვანილია შეცდომაში და მის ადვოკატს, მ. ღ. სურს, სამართალდამცავებს დაბრალდეს ისეთი რამ, რაც რეალურად არ მომხდარა. ადვოკატი მიიჩნევს, რომ მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველი არ არსებობს.

3.4 2014 წლის 31 ოქტომბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატი ადასტურებს, რომ ის არ იცნობდა საქმის მასალებს და არ ახსოვს, მოითხოვა თუ არა საქმის მასალების გადაცემა, თუმცა, რადგან ბრალდებული აღიარებდა ჩადენილ ქმედებებს, მან ამაზე ყურადღება აღარ გაამახვილა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ იგი საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად გადაიყვანეს ბრალდებულთან ერთად, სავარაუდოდ, პოლიციის მანქანით.

3.5 ადვოკატი ასევე აცხადებს, რომ პოლიციაში მისვლა ხშირად არ უწევს და ასეთი გაურკვეველი შემთხვევა პირველად მოხდა. იგი უთითებს, რომ უმეტესად სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მუშაობს და სისხლის სამართალში კომპეტენტურად არ მიაჩნია თავი, თუმცა, რადგან საქმე არ ეჩვენა განსაკუთრებული სირთულის და, ამასთან, ბრალდებული აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, გადაწყვიტა დაეცვა მისი ინტერესები.

3.6 ადვოკატმა ლ. ჭ. დაადასტურა, რომ იგი ნამდვილად იცნობს ადვოკატ მ. ღ., თუმცა არც ისე კარგად. მისი ვარაუდით, შესაძლოა, სწორედ ადვოკატმა მ. ღ. ურჩია შ. ჭ., მიემართა ეთიკის კომისიისათვის და მიეთითებინა არარსებულ ფაქტებზე, რადგან როცა ბრალდებულ შ. ჭ.

დაემშვიდობა, არ დარჩენია შთაბეჭდილება, რომ იგი უკმაყოფილო იყო მისი საადვოკატო მომსახურებით.

3.7 ადვოკატი ასევე ადასტურებს ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების სხდომაზე დაუსწრებლობის ფაქტს. იგი აცხადებს, რომ დაახლოებით 13:00 საათისათვის ადვოკატმა მ. ღ. დაურეკა მას, ლ. ჭ. აცნობა, რომ გამოწერილი ჰქონდა ორდერი და უკეთესი იქნებოდა ერთად შესულიყვნენ შ. ჭ.-სთან, რომელიც მისი თანდასწრებით იტყოდა რა და როგორ იყო, თუმცა, ამას ადვოკატ მ. ღ. მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია, მეტიც, მან მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და უთხრა, რომ აღარ სჭირდებოდა ბრალდებულს მისი დაცვა. ასევე მოითხოვდა მისგან, ეღიარებინა არარსებული ფაქტი, თითქოს პოლიციის მხრიდან ზეწოლას ჰქონდა ადგილი შ. ჭ. მიმართ და ამგვარად მიიღეს მისგან აღიარებითი ჩვენება.

3.8 ადვოკატის განმარტებით, მასსა და შ. ჭ. შორის ჩამოყალიბებული ნდობისა და იმის გამო, რომ თვითონ ჭ., ბრალდებული კი – ჭ., შესაძლოა რაღაც საერთო ფესვები ყოფილიყო გვარში, მან არ მიატოვა და დაკავებულის გვერდით იყო. ადვოკატის განცხადებით, დაკავებული მოუყვა თავის მძიმე ისტორიას, რის გამოც მას ადამიანურად შეეცოდა იგი და ამიტომ შესთავაზა თანამშრომლობა, რაზეც დაკავებულმა გამოთქვა მზადყოფნა.

3.9 ადვოკატის განმარტებით, სანამ იგი შ. ჭ. ადვოკატი გახდებოდა, მას ჰქონდა საშუალება ცალკე გასაუბრებოდა დაკავებულს, პოლიციელისა და გამომძიებლის დაუსწრებლად.

3.10 ადვოკატის განმარტებით, მან ორდერი გამოწერა დაკავებულთან შეხვედრიდან ერთი–ორი საათის შემდეგ. ლ. ჭ. ადვოკატად აყვანის შესახებ დაკავებულმა დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება. ადვოკატ ლ. ჭ. განმარტებით, სხვა დროს პოლიციას მისთვის არ დაურეკავს, რადგან მას არანაირი კავშირი არ აქვს პოლიციასთან.

3.11 ადვოკატის განმარტებით, მას შემდეგ, რაც იგი ადვოკატად ჩაერთო, დაურეკა ბრალდებულის დედას, თუმცა, არ ახსოვს შეთანხმდნენ თუ არა მომსახურების საფასურზე.

3.12 ადვოკატის განმარტებით, მისი და ბრალდებულის ურთიერთობა შეწყდა მას შემდეგ, რაც საქმეში ჩაერთო სხვა ადვოკატი – მ. ღ.

II სამოტივაციო ნაწილი

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1 ეთიკის კომისიის მეხუთე დისციპლინურმა კოლეგიამ 2014 წლის 31 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ. ჭ. მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 საპროცესო კოლეგიის შეფასებით იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატ ლ. ჭ.ა და შ. ჭ. ან ჭაღალაძის ოჯახის წევრებს შორის საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმება არ არსებობდა და ადვოკატმა პოლიციის თხოვნით მიიღო მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებაში, სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და დაკავებულთან დაცვის პოზიციის შეთანხმების გარეშე განახორციელა მისი დაცვა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტების, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის, მე-8 მუხლის პირველი, მეორე და მეხუთე ნაწილების დარღვევას.

5. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

5.1 ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2014 წლის 14 ნოემბრის მიწერილობით საქმე განსახილველად გადაეცა მეოთხე დისციპლინურ კოლეგიას. მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ სხდომა ჩაატარა 2014 წლის 25 დეკემბერს და იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების 36-ე მუხლით, 2014 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

5.2 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ლ. ჭ. მიერ დარღვეულია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" და ,,ბ" ქვეპუნქტები, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი, მე-3 მუხლი, მე-8 მუხლის პირველი, მეორე და მეხუთე ნაწილები.

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

6.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

6.1.1 ადვოკატი ლ. ჭ. 2014 წლის 20 ივლისს დაესწრო შ. ჭ. დაკითხვას და მონაწილეობა მიიღო სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებულ საგამოძიებო ექსპერიმენტში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2014 წლის 20 ივლისის ორდერი N20
2. 2014 წლის 20 ივლისის ბრალდებულის დაკითხვის ოქმი N0051722873
3. 2014 წლის 22 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმი, საქმე N10ა-4562-14
4. 2014 წლის 12 აგვისტოს საჩივარი
5. ადვოკატ ლ. ჭ. 2014 წლის 27 აგვისტოს ახსნა-განმარტება
6. მოწმის მ. ღ. 2014 წლის 31 ოქტომბრის ახსნა-განმარტება
7. განხილვის კოლეგიის 2014 წლის 25 დეკემბრის სხდომის ოქმი
8. ეთიკის კომისიის 2016 წლის 29 მარტის სხდომის ოქმი

6.1.2 ადვოკატ ლ. ჭ. შ. ჭ.-სთან და მისი ოჯახის წევრებთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ გაუფორმებია.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2014 წლის 12 აგვისტოს საჩივარი
2. ადვოკატ ლ. ჭ. 2014 წლის 27 აგვისტოს ახსნა-განმარტება
3. მოწმის მ. ღ.-ს 2014 წლის 31 ოქტომრბის განმარტება
4. 2014 წლის 22 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმი, საქმე N10ა-4562-14
5. განხილვის კოლეგიის 2014 წლის 25 დეკემბრის სხდომის ოქმი
6. ეთიკის კომისიის 2016 წლის 29 მარტის სხდომის ოქმი

6.1.3 ადვოკატ ლ. ჭ. 2014 წლის 20 ივლისს გამთენიისას 04-05 სთ-ზე ბინის ნომერზე დაუკავშირდა პოლიცია და მათი მიწვევით გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში, სადაც ჩაერთო შ. ჭ. საქმეში ადვოკატად.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2014 წლის 20 ივლისის ორდერი N20
2. 2014 წლის 20 ივლისის ბრალდებულის დაკითხვის ოქმი N0051722873
3. 2014 წლის 22 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმი, საქმე N10ა-4562-14
4. 2014 წლის 12 აგვისტოს საჩივარი
5. ადვოკატ ლ. ჭ. 2014 წლის 27 აგვისტოს ახსნა-განმარტება
6. მოწმის მ. ღ. 2014 წლის 31 ოქტომბრის ახსნა-განმარტება
7. განხილვის კოლეგიის 2014 წლის 25 დეკემბრის სხდომის ოქმი
8. ეთიკის კომისიის 2016 წლის 29 მარტის სხდომის ოქმი

6.1.4 შ. ჭ. იცავდა ადვოკატი მ. ღ., რომელსაც დაკავებულის მამამ მიმართა შვილის დასაცავად. ადვოკატ ლ. ჭ.-სთვის ცნობილი იყო ის გარემოება, რომ შ. ჭ. ჰყავდა შეთანხმებით აყვანილი ადვოკატი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2014 წლის 20 ივლისის ორდერი N20
2. 2014 წლის 20 ივლისის ბრალდებულის დაკითხვის ოქმი N0051722873
3. 2014 წლის 22 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმი, საქმე N10ა-4562-14
4. 2014 წლის 12 აგვისტოს საჩივარი
5. ადვოკატ ლ. ჭ. 2014 წლის 27 აგვისტოს ახსნა-განმარტება
6. მოწმის მ. ღ. 2014 წლის 31 ოქტომბრის ახსნა-განმარტება
7. განხილვის კოლეგიის 2014 წლის 25 დეკემბრის სხდომის ოქმი
8. ეთიკის კომისიის 2016 წლის 29 მარტის სხდომის ოქმი

6.1.5 ადვოკატმა ლ. ჭ. ბრალდებულის დაკითხვის ოქმზე ხელი მოაწერა მაშინ, როდესაც დაკითხვა ღამის საათებში 04:00 სთ-დან 08:00 სთ-მდე ჩატარდა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2014 წლის 20 ივლისის ბრალდებულის დაკითხვის ოქმი N0051722873
2. ეთიკის კომისიის 2016 წლის 29 მარტის სხდომის ოქმი

7. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. ჭ. მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

8. სამართლებრივი შეფასება

8.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა ლ. ჭ.-მ დაარღვია:

8.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტები, რომლის თანახმად ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები.“

8.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად „ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს“.

8.1.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლს ,,კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.“

8.1.4 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით, „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.“

8.1.5 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.“

8.1.6 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა”.

8.2 დამცველის ყოლის უფლება სისხლის სამართლის საქმეზე ადამიანის ძირითადი უფლებაა და მისი განხორციელებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი უფლებები და მოვალეობები. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, დაცვის უფლება გარანტირებულია, ხოლო კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით ,,დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მო-ითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს”.

8.3 დაცვის უფლებაზე ხელმისაწვდომობა ნიშნავს პირის შესაძლებლობას, დაიცვას თავი მის მიერ არჩეული დამცველის საშუალებით, ანუ დაცვის უფლების განმარტებაში დომინირებს პირის სურვილის უზენაესობა - ჰყავდეს ის დამცველი, რომელიც მისი არჩეულია და რომელსაც ენდობა, გარდა კანონით გათვალისწინებული სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.

8.4 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, დაცვის უფლების განხორციელების თაობაზე მიიჩნია, რომ „საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულია დაცვის და დასაცავი პირის უფლება, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს დასაცავი პირის სურვილიდან. ამდენად, საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს დაცვის უფლების ისეთ პირობებს, როდესაც უპირატესობა ენიჭება დასაცავი პირის სურვილსა და უნარს, ჰყავდეს დამცველი ან პირის სურვილს, მაგრამ უუნარობას იყოლიოს დამცველი“.

8.5 სისხლის სამართლის საქმეზე დამცველის აყვანის შესაძლებლობას ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის 41-ე მუხლის მიხედვით, ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული, ან ბრალდებულის ნების გათვალისწინებით - მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი.

8.6 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N112/11 განმარტა, რომ ,,დასაცავი პირი, მისი ნების გათვალისწინებით ირჩევს ადვოკატს, რომელსაც მიანდობს მისი უფლებების დაცვას სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატსა და კლიენტს შორის ნდობის პრინციპის არსებობა, ასევე ხელს უწყობს კომუნიკაციის ეფექტურად განხორციელებას. კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობის არსებობის შემთხვევაში, კლიენტი ადვოკატს უმხელს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რასაც ადვოკატი კლიენტის თანხმობით იყენებს სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების დასაცავად. გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა სისხლის სამართლის საქმის მასალებში დაცვის მხარის სასარგებლო ინფორმაცია და საყურადღებო დეტალი არ იყოს ცნობილი და ხშირ შემთხვევაში ადვოკატი კლიენტისაგან მოიპოვებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინფორმაციას, შესაბამისად კლიენტის სრული ნდობა ადვოკატისადმი და განდობილი კონფიდენციალური ინფორმაცია, ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას სათანადოდ განახორციელოს კლიენტის ინტერესების დაცვა.“

8.7 საქმეში არსებული 20.07.2014 წ. ორდერის N20 თანახმად, ადვოკატი ლ. ჭ. შ. ჭ.-ს იცავდა შსს-ს წინასწარი ძიების ეტაპზე, პროკურატურაში, საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციაში. დაკავებულის მამამ შ. ჭ. დაკავების შეტყობისთანავე, 2014 წლის 20 ივლისს მის დასაცავად აიყვანა ადვოკატი მ. ღ. ადვოკატი ლ. ჭ. სისხლის სამართლის საქმეზე შ. ჭ. ინტერესების დასაცავად ჩაერთო პოლიციის განყოფილებიდან დარეკვისა და პოლიციაში მისვლის შემდეგ. შ. ჭ. 2014 წლის 21 ივლისს საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე წარდგენილ საჩივარში და განმარტავს, რომ პოლიციაში მისთვის უცნობ პირზე უთხრეს, რომ ის მისი ადვოკატი იყო, ადვოკატი მას არ დალაპარაკებია ცალკე, მისი პოზიცია არ უკითხავს, ისე დაიწყო მოქმედება. 2014 წლის 20 ივლისს გამთენიისას 04:00 სთ-დან 08:00 სთ-მდე ადვოკატი დაესწრო დაკავებულის დაკითხვას. ადვოკატ ლ. ჭ.ა და შ. ჭ. ან მისი ოჯახის წევრს შორის ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე არ გაფორმებულა.

8.8 ადვოკატი ლ. ჭ. საქმეში არაუფლებამოსილი პირის დავალებით ჩაერთო, ადვოკატმა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა ბრალდების მხარის თხოვნითა და ინიციატივით მიიღო. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის მიხედვით, გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს არ უნდა ემოქმედა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე

მუხლის საწინააღმდეგოდ და ბრალდების მხარის თხოვნით არ უნდა გამოცხადებულიყო საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობისათვის.

8.9 ადვოკატს არ წარმოშობია კანონით გათვალისწინებული უფლება, დაეცვა შ. ჭ. ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე. კერძოდ, ადვოკატ ლ. ჭ. ახსნა-განმარტებით, შ. ჭ. ინტერესების დაცვა დაიწყო პოლიციის თხოვნით და ადვოკატმა დაკითხვამდე აცნობა დაკავებულს, რომ მისი ადვოკატი იყო, თუმცა, ამ გარემოებას არ ადასტურებს შ. ჭ. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ შ. ჭ. და მისი ოჯახის წევრებს არ გამოუხატავთ ნება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატ ლ. ჭ. დაეცვა შ. ჭ. ინტერესები და ადვოკატი მათთან შეთანხმების გარეშე ჩაერთო ჭ.-ის დაცვის უფლების განსახორციელებლად.

8.10 ბრალდების მხარის მოწვევით საქმეში ჩართვით ადვოკატმა ლ. ჭ. დაარღვია საადვოკატო საქმიანობის ფუნდამენტური პრინციპი ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობისა და სხვადასხვა პირთა ნების სასარგებლოდ, ადვოკატის პროფესიული ვალდებულებების განხორციელებისას კომპრომისის დაუშვებლობის შესახებ. ადვოკატი საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად ბრალდების მხარის თხოვნით მივიდა და არა შეთანხმების საფუძველზე პროფესიული მოვალეობის შესრულებისათვის - კლიენტის ინტერესების დასაცავად. ადვოკატ ლ. ჭ. და შ. ჭ. შორის ურთიერთობის დასაწყისიდანვე არ წარმოშობილა ნდობა, რადგან ადვოკატი არც შ. ჭ. და არც მისი ოჯახის წევრებს მოუწვევიათ დაკავებულის ინტერესების დასაცავად. ადვოკატმა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა მიიღო იმ პირობებში, რომ ოჯახთან ან დაცვის ქვეშ მყოფ პირთან კომუნიკაცია არ ჰქონია.

8.11 ადვოკატის განმარტება, რომ შემთხვევის ადგილზე მისვლისას აცნობა დაკავებულს საქმეში მისი ადვოკატად ჩართვისა და საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის შესახებ, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს კლიენტთან შეთანხმების საფუძველზე დაცვის განხორციელებად. ადვოკატი ბრალდების მხარის თხოვნით ჩაერთო საქმეში და მხოლოდ ამის შემდეგ აცნობა დაკავებულს, ადვოკატმა კლიენტის ნებართვის გარეშე გამოწერა ორდერი, შესაბამისად, საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიწოდება კლიენტისათვის დაგვიანებული იყო. გასათვალისწინებელია, რომ პირი დაკავებისას ხშირად იმყოფება მძიმე სტრესულ მდგომარეობაში და ასეთ დროს კლიენტთან გასაუბრების უფლება და შესაძლებლობა აქვს ადვოკატს, რომელსაც მიანდობს კლიენტი მისი უფლებების დაცვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, ადვოკატი კლიენტის ნებით არ ჩაერთო სისხლის სამართლის საქმეზე.

8.12 აქედან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა ლ. ჭ. დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვალდებულება - კლიენტის ან მისი ოჯახის წევრების ნებართვით და მათთან შეთანხმებული წესით დაეწყო შ. ჭ.-ის დაცვა და მონაწილეობა მიეღო საგამოძიებო მოქმედებაში.

8.13 ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობაში უმთავრესი პრინციპია ადვოკატის მიერ კლიენტისადმი ერთგულების მოვალეობა. კლიენტის ინტერესები ადვოკატის პირად ინტერესებზე ან სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა განიხილებოდეს. ადვოკატმა დაცვის უფლების განხორციელებისას უნდა გამოიყენოს ყველა გონივრული შესაძლებლობა კლიენტის უფლებების სათანადოდ დაცვისათვის, რაც ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობისას სისხლის სამართლის საქმეზე, კლიენტისაგან ინფორმაციის მიწოდებით და შემდგომი ქმედებების

განხორციელების თაობაზე უფლებამოსილების მიღებით გამოიხატება. ადვოკატი ვალდებულია დაცვის პოზიცია და ტაქტიკა კლიენტს შეუთანხმოს.

8.14 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ საქმეზე "არტიკო იტალიის წინააღმდეგ" (1980 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება, 33-ე პუნქტი) დაადგინა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „გ" ქვეპუნქტის დარღვევა, დაცვის უფლების არასათანადო განხორციელებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ „კონვენცია მოწოდებულია უზრუნველყოს არა თეორიული ან ილუზორული უფლებები, არამედ მათი პრაქტიკული და ეფექტური განხორციელება. ეს განსაკუთრებით სამართლიანია დაცვის უფლებასთან მიმართებით, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ისევე, როგორც თავად უფლებას სამართლიან სასამართლოზე, რომლიდანაც ის გამომდინარეობს".

8.15 ადვოკატმა ლ. ჭ. იმ პირობებში მიიღო მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებაში, რომ არ შეუთანხმებია კლიენტთან დაცვის პოზიცია და ტაქტიკა - არ მიუღია ადვოკატს კლიენტისაგან ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის თაობაზე. ადვოკატის ახსნა-განმარტება არ არის თანმიმდევრული. თავიდან ადვოკატმა ლ. ჭ. აღნიშნა, რომ როდესაც შ. ჭ. ესუბრებოდა, იქვე იმყოფებოდა პოლიციის თანამშრომელი, ხოლო შემდეგ განმარტა, რომ მას საჩივრის ავტორის შვილთან ცალკე გასაუბრების საშუალება მისცეს, თუმცა, ადვოკატი არ გასცნობია სისხლის სამართლის საქმის მასალებს. ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს ადვოკატ ლ. ჭ. ახსნა-განმარტების იმ ნაწილზეც, სადაც ეთიკის კომისიის 2016 წლის 29 მარტის სხდომაზე ადვოკატმა აღნიშნა, თითქოსდა პოლიციის განყოფილებაში მისი მისვლის დროს შ. ჭ. აღიარებითი ჩვენება უკვე მიცემული ჰქონდა, ხოლო საქმის განხილვის წესით გამოკვლევის ეტაპზე ადვოკატმა განმარტა, რომ მან ურჩია შ. ჭ. არ დაებრალებინა ის, რაც ჩადენილი არ ჰქონდა და ცალკე გაესაუბრა მას. კომისიის შეფასებით, ადვოკატი არ დარწმუნდა კლიენტი თავისუფალი იყო თუ არა ნების გამოხატვაში. ადვოკატი ლ. ჭ. თავად განმარტავს, რომ მას ძირითადად სამოქალაქო საქმეებზე მუშაობის გამოცდილება აქვს.

8.16 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N112/11 განმარტა, რომ ,,ადვოკატმა ბრალდებულის უფლებების კეთილსინდისიერი დაცვის გარდა, ასევე სათანადო ყურადღება უნდა გაამახვილოს წინასწარი გამოძიების ეტაპზე ბრალდების მხარის განხორციელებული მოქმედებები შეესაბამება თუ არა კანონით გათვალისიწინებულ მოთხოვნებს, დაკავებული პირის უფლებების დარღვევის შემთხვევაში კი მოახდინოს კანონით გათვალიწინებული საშუალებებით კლიენტის უფლებების სათანადო დაცვა."

8.17 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ,,საგამოძიებო მოქმედების ღამით ჩატარება დაუშვებელია, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებისა. საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს გონივრულ ვადაში." ამავე კოდექსის 134-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ,, შედგენის შემდეგ საგამოძიებო მოქმედების ოქმი გასაცნობად წარედგინება საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილეს. მათვე უნდა განემარტოთ, რომ უფლება აქვთ, გამოთქვან შენიშვნა, დამატება ან შესწორება, რომელიც ოქმში აისახება. ოქმში შეტანილი ყველა შენიშვნა, დამატება და შესწორება დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ხელმოწერით. ოქმის ასლი გადაეცემა საგამოძიებო მოქმედების მონაწილე მხარეებს." ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ,,საგამოძიებო მოქმედების ოქმს ხელს აწერს საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილე. თუ

საგამოძიებო მოქმედების მონაწილე უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე, ამ ფაქტის შესახებ ოქმში კეთდება აღნიშვნა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი. ოქმის ხელმოწერაზე უარის მთქმელ პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განმარტოს ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი, რომელიც ასევე აღინიშნება ოქმში."

8.18 2014 წლის 20 ივლისის ბრალდებულის დაკითხვის ოქმით დგინდება, რომ შ. ჭ. დაიკითხა 04:00 სთ-დან 08:00 სთ-მდე. ბრალდებულის დაკითხვის ოქმს ხელს აწერს ადვოკატი ლ. ჭ.. კომისიის შეფასებით, ადვოკატს ოქმზე არ უნდა მოეწერა ხელი ან დაეფიქსირებინა შენიშვნა, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საგამოძიებო მოქმედების ღამით ჩატარება დაუშვებელია. აღნიშნული ხაზს უსვამს ადვოკატ ლ. ჭ. მიერ გაწეული მომსახურების არაკვალიფიციურობას.

8.19 ადვოკატმა ლ. ჭ. დაცვის ქვეშ მყოფ პირს საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის თაობაზე ინფორმაცია არ მიაწოდა. იმ გარემოებებში, როდესაც ადვოკატმა კლიენტის დაცვა დაიწყო კანონისა და ეთიკის კოდექსის დარღვევით, მის მიერ კლიენტის დაცვის შეწყვეტის საკითხზე კომისია ცალკე აღარ იმსჯელებს, რადგან ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის შეფასებით, როგორც არ უნდა ემოქმედა ადვოკატს, მის მიერ განხორციელებული დაცვა ვერ იქნებოდა "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონთან და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსთან შესაბამისობაში.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის ,,ა" ქვეპუნქტით, 33-ე, მე-5 მუხლის ,,ა" და ,,ბ" ქვეპუნქტებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი, მეორე და მეხუთე ნაწილებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, მე-20 მუხლით, 39-ე მუხლით, მე-40 მუხლის პმეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

3. დისციპლინური საქმეზე №061/14 ადვოკატ ლ. ჭ. /№/ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
4. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
5. ადვოკატ ლ. ჭ. უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. 32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კომისიის წევრი: /გია ტაბლიაშვილი/

კომისიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/

კომისიის წევრი:	/ქეთევან უტიაშვილი/
კომისიის წევრი:	/თეა ჭეიშვილი/
კომისიის წევრი:	/ნელი ვარდიაშვილი/
კომისიის წევრი:	/გიორგი ტურაზაშვილი/
კომისიის წევრი:	/ნათია კორკოტაძე/
კომისიის წევრი:	/ინგა სეხნიაშვილი/
კომისიის წევრი:	/თორნიკე ბაქრაძე/
კომისიის წევრი:	/გოჩა სვანიძე/
კომისიის წევრი:	/ხათუნა გრიგალაშვილი/
კომისიის წევრი:	/ია გაბედავა/